

საქართველოს ორგანული კანონი

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 19.02.2014, სარეგისტრაციო კოდი: 010250000.04.001.016100) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. 68-ე მუხლის:

ა) პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

ბ) დამატოს შემდეგი შინაარსის მე-4 პუნქტი:

„4. თბილისის საკრებულოზე არ ვრცელდება ამ კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილება.“

2. 73-ე მუხლის:

ა) მე-2 პუნქტის „ქ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ქ) მისი უფლებამოსილებისთვის მიკუთვნებული ცალკეული საკითხების შესასწავლად ქმნის სათათბირო ორგანოებს – კომისიებს, საბჭოებს და სამუშაო ჯგუფებს;“

3. 75-ე მუხლის:

ა) დამატოს შემდეგი შინაარსის „დ.ბ¹“ ქვეპუნქტი:

„დ.ბ¹) ამტკიცებს კერძო სამართლის სამეწარმეო და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების წესდებას (დებულებას); ნიშნავს და ათავისუფლებს კერძო სამართლის სამეწარმეო და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ხელმძღვანელებს და აკონტროლებს მათ საქმიანობას; იღებს გადაწყვეტილებას თბილისის მთავრობის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირებისათვის ფინანსური სახსრებისა და მოძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემის შესახებ;“

ბ) „დ.დ“ და „დ.ე“ ქვეპუნქტები ამოღებულ იქნეს.

გ) „დ.ზ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ.ზ) თბილისის საკრებულოს ან/და საქართველოს მთავრობას წარუდგენს პრივატიზებული/სარგებლობის უფლებით/მართვის უფლებით გაცემული მუნიციპალიტეტის ქონების მიმღების ამ ქონებასთან დაკავშირებული პირობის (პირობების) ცვლილების/გაუქმების საკითხს;“

დ) „დ.კ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს.

ე) „დ.ლ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“დ.ლ) ამ კანონით და საკრებულოს მიერ დადგენილი წესით ახორციელებს მუნიციპალიტეტის ქონების შემძენის, სარგებლობის უფლებით/მართვის უფლებით მიმღები პირის მიერ მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობის უფლებით/მართვის უფლებით გაცემის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობ(ებ)ის/ვალდებულებ(ებ)ის შესრულების ან/და მუნიციპალიტეტის ქონების გამოყენების წესების დაცვის მონიტორინგს;”;

ვ) „დ.მ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს.

ზ) „ე.კ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე.კ) ახორციელებს თბილისის მერიის დებულებით, მთავრობის რეგლამენტით, თბილისის საკრებულოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით, მუნიციპალიტეტის უფლებამოსილების ფარგლებში საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.“

4. 79-ე მუხლის

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. თბილისის საკრებულოს მიერ დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს თბილისის მთავრობა.“

ბ) მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. თბილისის საკრებულოს მიერ დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიულ პირს ამ კანონით დადგენილი წესით მოძრავი ქონება გადაეცემა სარგებლობის ან საკუთრების, ხოლო უძრავი ქონება სარგებლობის უფლებით. თბილისის საკრებულოს მიერ დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის მოძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემაზე გადაწყვეტილებას იღებს თბილისის მთავრობა.“;

გ) მე-11 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„11. თბილისის საკრებულოს მიერ დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიერ მიღებული გადაწყვეტილება საჩივრდება თბილისის მერთან კანონმდებლობით დადგენილი წესით.“.

5. მე-100 მუხლის

ა) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. მუნიციპალიტეტის მიერ აღებული სესხის საერთო მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს გასული 3 საბიუჯეტო წლის მუნიციპალიტეტის საკუთარი შემოსავლების საშუალო წლიური ოდენობის 10 პროცენტს, ხოლო თბილისის მიერ სესხის აღების შემთხვევაში - აღებული სესხის საერთო მოცულობიდან, ყოველწლიურად დასაფარი სესხის მომსახურების (ძირითადი თანხა და პროცენტი) მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს წლიური ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლების 5%-ს. დაუშვებელია მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების გამოყენება მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებად.“

ბ) მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია საქართველოს მთავრობის ნებართვით საკუთარი უფლებამოსილების განსახორციელებლად, კანონით დადგენილი წესით მიიღოს გრანტი. გრანტის მიღებაზე ნებართვის მისაღებად საქართველოს მთავრობას შუამდგომლობით მიმართავს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო. მთავრობის ნებართვას არ საჭიროებს თუ:

ა) გრანტის მიღება ხორციელდება საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებული საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე;

ბ) გრანტის გამცემია სამინისტრო ან საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული შესაბამისი საჯარო სამართლის იურიდიული პირი;

გ) გრანტის მიმღები არის თბილისი.“.

6.104-ე მუხლის მე-2 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის "დ" ქვეპუნქტი:

"დ) კანონიერი მოსარგებლებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს მიერ კანონიერი მოსარგებლებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებულ საქართველოს მთავრობის შესაბამისი სამართლებრივი აქტით გათვალისწინებულ შემთხვევებზე.“.

7. 105-ე მუხლის:

ა) „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) განკარგვა – მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზება, სარგებლობის უფლებით გადაცემა, მართვის უფლებით გადაცემა, სახელმწიფოსთვის ან/და ავტონომიური რესპუბლიკისათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემა, ასევე ქალაქ თბილისის მიერ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირებისა ან/და თბილისის საკრებულოს მიერ დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის მოძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემა;“;

ბ) „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) პრივატიზება - მუნიციპალიტეტის ქონების ფიზიკური ან/და იურიდიული პირისათვის საკუთრებაში გადაცემა ამ კანონით დადგენილი ფორმითა და წესით, გარდა ამ კანონის 75-ე მუხლის „დ.ბ1“ ქვეპუნქტით, 79-ე და 108-ე მუხლებით გათვალისწინებული შემთხვევებისა;“;

გ) დაემატოს შემდეგი შინაარსის „ზ“ ქვეპუნქტი:

„ზ) უცხო ქვეყნის აღიარებული საფონდო ბირჟა - საქართველოს სათანადო კანონის შესაბამისად საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აღიარებულ ბირჟათა სიაში შეყვანილი საფონდო ბირჟა.“.

9. 108-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მუხლი 108. მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სახელმწიფოსთვის ან/და ავტონომიური რესპუბლიკისათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემა

1. მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება, მათ შორის, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (შენობა-ნაგებობებით ან მათ გარეშე), აგრეთვე წილები/აქციები (გარდა მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილების განხორციელებისთვის საჭირო ძირითადი

(განუსხვისებელი) ქონებისა) სახელმწიფოს საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაეცემა „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ქონების მმართველის დასაბუთებული მიმართვის, ავტონომიურ რესპუბლიკას - ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიმართვის საფუძველზე მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადაწყვეტილებით, ხოლო თბილისში - თბილისის მთავრობის გადაწყვეტილებით.

2. მუნიციპალიტეტის საკრებულო, ხოლო თბილისში - თბილისის მთავრობა, ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ წარდგენილ მოთხოვნაზე იღებს დასაბუთებულ დადებით ან უარყოფით გადაწყვეტილებას. პასუხი წერილობით ეცნობება მოთხოვნის წარმდგენს მისი წარდგენიდან არაუგვიანეს 45 დღისა. თუ უფლებამოსილმა ორგანომ 45 დღის ვადაში არ მიიღო გადაწყვეტილება, მოთხოვნილი ქონება სახელმწიფოს ან/და ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში გადაცემულ ქონებად ჩაითვლება და სახელმწიფო ან/და ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებად რეგისტრირდება.

9. 111-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „გ“ ქვეპუნქტი:

"გ¹) ფიზიკური პირის ან კერძო სამართლის იურიდიული პირის მიერ ქონების ან/და შესრულებული სამუშაოს გადაცემის გზით, რომელსაც მუნიციპალიტეტის ორგანო/თბილისის საკრებულოს მიერ დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი მუნიციპალიტეტის სახელით იღებს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში და აჰყავს ბალანსზე";

10. 115-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 115. მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის რეგულირება და საპრივატიზებო საფასურის განსაზღვრის განსაკუთრებული შემთხვევები

1. მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის წესებს, ქონების პრივატიზებისას საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემისას ქირის საფასურის და ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის, აგრეთვე ანგარიშსწორების წესებს ამ კანონის შესაბამისად ამტკიცებს საქართველოს მთავრობა.

2. თბილისის ქონების პირობებიანი აუქციონის ფორმით პრივატიზებისას, საქართველოს მთავრობის დადგენილებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, თბილისის მთავრობის გადაწყვეტილებით თბილისის ქონების საწყისი საპრივატიზებო საფასური შესაძლებელია განისაზღვროს საბაზრო ღირებულებაზე ნაკლებ ფასად.

3. ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით დადგენილი წესი არ ვრცელდება წილების ან აქციების ან სერტიფიკატებით წარმოდგენილი აქციების პირდაპირ ან შუამავლის მეშვეობით, საჯარო ან კერძო შეთავაზებით, უცხო ქვეყნის აღიარებულ საფონდო ბირჟაზე ან მოცემულ დროს საერთაშორისო კაპიტალის ბაზრებზე არსებული პრაქტიკის შესაბამისი შეთავაზების სხვაგვარი ფორმით პრივატიზების შემთხვევაზე.“.

11. 116-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მუხლი 116. მუნიციპალიტეტის წარმომადგენელი ქონების განკარგვისას

1. მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზებისას, მართვის ან სარგებლობის უფლებით გადაცემისას ან სხვაგვარად განკარგვისას მუნიციპალიტეტს შეუძლია იმოქმედოს თავისი წარმომადგენლის (რწმუნებულის) მეშვეობით.

2. თბილისში ქონების პრივატიზებისას, მართვის ან სარგებლობის უფლებით გადაცემისას ან სხვაგვარად განკარგვისას, აგრეთვე შესაბამისი სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულების მონიტორინგისას თბილისის მთავრობას შეუძლია იმოქმედოს თავისი წარმომადგენლის (რწმუნებულის) ან ამ მიზნით თბილისის საკრებულოს მიერ დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის მეშვეობით.

12. 118-ე მუხლში:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზება ხორციელდება საჯარო ან ელექტრონული აუქციონის ფორმით, ხოლო თბილისის ქონების პრივატიზება ხორციელდება აგრეთვე პირდაპირი განკარგვის, გაცვლის, კონკურენტული შერჩევის საფუძველზე პირდაპირი განკარგვის ფორმით, გარდა ამ მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.“

ბ) დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-3 პუნქტი:

„3. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისად კონფისკაციაქმნილი მოძრავი ქონების განკარგვა ხორციელდება საკრებულოს მიერ დადგენილი წესით.

13. კანონს დაემატოს შემდეგი შინაარსის 118¹ მუხლი:

„118¹. თბილისის ქონების პრივატიზების წესი

1. თბილისის ქონების პირდაპირი განკარგვის ან კონკურენტული შერჩევის საფუძველზე პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს თბილისის მთავრობა ამ კანონითა და თბილისის საკრებულოს მიერ დადგენილი წესით.

2. თბილისის ქონების პირდაპირი განკარგვა ან კონკურენტული შერჩევის საფუძველზე პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზება შეიძლება სასყიდლით პირობებით ან უპირობოდ.

3. თბილისის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, აქციებისა და წილების პირდაპირი განკარგვისა ან/და კონკურენტული შერჩევის საფუძველზე პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს და ხელშეკრულებების პირობებს განსაზღვრავს თბილისის მთავრობა თბილისის საკრებულოს თანხმობით. თბილისის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, აქციებისა და წილების პირდაპირი განკარგვისა ან/და კონკურენტული შერჩევის საფუძველზე პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზება ხდება თბილისის მთავრობის მიერ განსაზღვრული წარმომადგენლის (რწმუნებულის) ან ამ მიზნით თბილისის საკრებულოს მიერ დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის მეშვეობით, რომელს მიერაც, საქართველოს მთავრობის მიერ ხელშეკრულების პირობებზე თანხმობის გაცემის შემდეგ, 3 თვის ვადაში, თბილისის მთავრობის სახელით იდება ხელშეკრულება.

4. თბილისის მოძრავი ქონების პირდაპირი განკარგვისა ან/და კონკურენტული შერჩევის საფუძველზე პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს და ხელშეკრულების პირობებს განსაზღვრავს თბილისის მთავრობა, საკრებულოს თანხმობით. თბილისის საკრებულოს თანხმობის საფუძველზე ხელშეკრულებებს თბილისის მთავრობის სახელით დებს თბილისის მთავრობის მიერ განსაზღვრული წარმომადგენელი (რწმუნებულის) ან ამ მიზნით თბილისის საკრებულოს მიერ დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული

პირი.

5. თბილისის მთავრობა უფლებამოსილია საკრებულოს თანხმობით საკუთრებაში გადასცეს ფიზიკურ ან/და კერძო სამართლის იურიდიულ პირებს თბილისის ქონება სხვა ქონების თბილისის საკუთრებაში გადმოცემის სანაცვლოდ (გაცვლა). აღნიშნულ საკითხზე გადაწყვეტილებას იღებს თბილისის მთავრობა თბილისის საკრებულოს თანხმობით. თბილისის ქონების სხვა ქონების თბილისის საკუთრებაში გადმოცემის სანაცვლოდ გადაცემა (გაცვლა) ხდება თბილისის მთავრობის მიერ განსაზღვრული წარმომადგენლის (რწმუნებულის) ან ამ მიზნით თბილისის საკრებულოს მიერ დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის მეშვეობით, რომელიც თბილისის მთავრობის სახელით დებს ხელშეკრულებას. ეს ხელშეკრულებები ძალაში შედის საქართველოს მთავრობის მიერ მის არსებით პირობებზე თანხმობის გაცემის შემდეგ.

6. თბილისის ქონების აუქციონის ფორმით საკუთრების უფლებით გადაცემა ხდება თბილისის მთავრობის მიერ განსაზღვრული წარმომადგენლის (რწმუნებულის) ან ამ მიზნით თბილისის საკრებულოს მიერ დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის მეშვეობით, რომელიც თბილისის მთავრობის სახელით, საკუთრებაში გადასცემს თბილისის ქონებას.

7. თბილისის ქონების პრივატიზება საჯარო ან ელექტრონული აუქციონის ფორმით ხორციელდება ამ კანონის 119-ე მუხლით დადგენილი წესით.

8. თბილისის მთავრობის მიერ განსაზღვრული წარმომადგენლის (რწმუნებულის) ან ამ მიზნით თბილისის საკრებულოს მიერ დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის თანხმობის გარეშე თბილისის ქონების შემძენს უფლება არ აქვს საპრივატიზებო ვალდებულებების შესრულების მიზნით იპოთეკით ან გირავნობით დატვირთოს შეძენილი ქონება.

9. თბილისის ქონების პრივატიზებისას ვრცელდება ამ კანონის 120-ე მუხლით დადგენილი წესები.

14. კანონს დაემატოს შემდეგი შინაარსის 118² მუხლი:

"მუხლი 118². მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზების განსაკუთრებული პირობები

1. მყიდველი ვალდებულია მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზებო პირობად საინვესტიციო ვალდებულების არსებობის შემთხვევაში პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისას საქართველოს მთავრობის მიერ შესაბამისი განკარგულების მიღებიდან ხელშეკრულების გაფორმებამდე, ხოლო აუქციონის შემთხვევაში – აუქციონის ჩატარებიდან 1 თვის ვადაში, წარადგინოს საინვესტიციო ვალდებულების არანაკლებ 10%-ის ოდენობის უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია, რომლის ვადაც არანაკლებ 4 თვით უნდა აღემატებოდეს საინვესტიციო ვალდებულების შესრულების ვადას. უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის ამ პუნქტში მითითებული თანხის ოდენობის შემცირებაზე გადაწყვეტილებას, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს თანხმობით, იღებს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო.

2. უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია მისი მოქმედების განმავლობაში უზრუნველყოფს მყიდველის მიერ შესასრულებელი ვალდებულებების შეუსრულებლობის შედეგად დაკისრებული პირგასამტეხლოს მოთხოვნის დაკმაყოფილებას.

3. მყიდველი ვალდებულია უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის თანხის ოდენობის შემცირების შემთხვევაში 1 თვის ვადაში შეავსოს იგი მის სრულ ოდენობამდე.

4. მყიდველის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შედეგად მუნიციპალიტეტის ქონების განმკარგავი სუბიექტის მხრიდან ხელშეკრულების მოშლის შემთხვევაში უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის თანხა სრულად ირიცხება შესაბამის ბიუჯეტში.

5. მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების მიზნით დადებული შესაბამისი ხელშეკრულებით გათვალისწინებული საპრივატიზებო პირობების დარღვევის გამო ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლის შემთხვევაში პრივატიზებული ქონება ბრუნდება მუნიციპალიტეტის საკუთრებაში, ხოლო ამ ქონებაზე რეგისტრირებული მესამე პირთა იპოთეკის უფლება (უფლებები) უქმდება, თუ ქონების იპოთეკით დატვირთვამდე საჯარო რეესტრში უძრავი ნივთის შესახებ ჩანაწერში რეგისტრირებულია საპრივატიზებო ვალდებულების (ვალდებულებების) ამსახველი შესაბამისი ინფორმაცია. ამასთანავე, ქონების შემძენს მუნიციპალიტეტი არ აუნაზღაურებს გადახდილ თანხებსა და გაწეულ ხარჯებს."

15. 119-ე მუხლის:

ა) პირველი და მე-2 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

1. საჯარო აუქციონის ფორმით მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების შესახებ ინფორმაცია ქვეყნდება თბილისის შემთხვევაში აუქციონის განმახორციელებელი სუბიექტის – აუქციონატორის ვებგვერდზე და ადგილობრივ ან სხვა ბეჭდვით საინფორმაციო გამოცემაში და ვებგვერდზე www.eauction.ge, ხოლო სხვა მუნიციპალიტეტების შემთხვევაში - ადგილობრივ ან სხვა ბეჭდვით საინფორმაციო გამოცემაში და ვებგვერდზე www.eauction.ge.

2. მუნიციპალიტეტის ქონების განკარგვა შეიძლება განხორციელდეს ელექტრონული აუქციონის ფორმით. ელექტრონული აუქციონის ფორმით მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების შემთხვევაში ინფორმაცია ქვეყნდება და ვაჭრობა მიმდინარეობს ვებგვერდზე www.eauction.ge;

ბ) დაემატოს შემდეგი შინაარსის 2¹ პუნქტი:

„2¹. ელექტრონული აუქციონის ფორმით თბილისის ქონების პრივატიზების შემთხვევაში ინფორმაცია ქვეყნდება აუქციონატორის ვებგვერდზე და ვებგვერდზე www.eauction.ge, ხოლო ვაჭრობა მიმდინარეობს აუქციონატორის ვებგვერდზე ან/და ვებგვერდზე www.eauction.ge.“

16. 120-ე მუხლის:

ა) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"2. აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი შეიცავს მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების ძირითად პირობებს, მხარეთა უფლება-მოვალეობებს და უთანაბრდება ხელშეკრულებას. ზემოაღნიშნული ოქმის საფუძველზე, მხარის მოთხოვნის შემთხვევაში სავალდებულოა გაფორმდეს ნასყიდობის ხელშეკრულება."

ბ) დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-5, მე-6 და მე-7 პუნქტები:

„5. მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების შესახებ გარიგების ბათილობის საკითხის გადაწყვეტა ხდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.“;

6. მუნიციპალიტეტის ქონების საკუთრებაში პირობებით გადაცემისას უზრუნველყოფილი მოთხოვნის შეუსრულებლობის გამო დატვირთული ქონების მოთხოვნის უფლების მფლობელის საკუთრებაში გადასვლისას ან „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესით

რეალიზაციისას (მიუხედავად ასეთი რეალიზაციის ფორმისა) ახალ და ყოველ შემდგომ მესაკუთრეზე სრულად გადადის ქონების შემძენის მიერ მუნიციპალიტეტის წინაშე ნაკისრი საპრივატიზებო ვალდებულებები და შესაბამისი ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლება-მოვალეობები, თუ ქონების დატვირთვამდე მოთხოვნებისა და უფლებების შესაბამის მარეგისტრირებელ ორგანოში ქონების შესახებ ჩანაწერში რეგისტრირებულია საპრივატიზებო ვალდებულების (ვალდებულებების) ამსახველი შესაბამისი ინფორმაცია.

7. მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზების მიზნით დადებული შესაბამისი ხელშეკრულებით გათვალისწინებული საპრივატიზებო პირობების დარღვევის გამო ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლის შემთხვევაში პრივატიზებული ქონება ბრუნდება მუნიციპალიტეტის საკუთრებაში, ხოლო ამ ქონებაზე რეგისტრირებული მესამე პირის (პირთა) უფლება (უფლებები) უქმდება, თუ ქონების დატვირთვამდე საჯარო რეესტრში მოთხოვნებისა და უფლებების შესახებ ჩანაწერში რეგისტრირებულია საპრივატიზებო ვალდებულების (ვალდებულებების) ამსახველი შესაბამისი ინფორმაცია. ამასთანავე, ქონების შემძენს მუნიციპალიტეტი არ აუნაზღაურებს გადახდილ თანხებსა და გაწეულ ხარჯებს."

17. 122-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-7 პუნქტი:

„7. მუნიციპალიტეტის ქონებით მოსარგებლე, რომელსაც არ აქვს ამ ქონებით მართლობიერად სარგებლობის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი და რომელიც ქონებას სამეწარმეო საქმიანობისათვის (კომერციული მიზნით) იყენებს, ვალდებულია, მესაკუთრის ან მისი წარმომადგენლის (რწმუნებულის) წერილობითი მოთხოვნის თანახმად, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გადაიხადოს სარგებლობაში გადაცემის საფასური, საბაზრო ღირებულების შესაბამისად (საექსპერტო/აუდიტორული დასკვნის საფუძველზე), საჯარო რეესტრში მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლების რეგისტრაციის მომენტიდან სარგებლობის მთელი პერიოდისათვის.“

18. კანონს დაემატოს შემდეგი შინაარსის 122¹ მუხლი:

„მუხლი 122¹. თბილისის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის ფორმები და წესი

1. თბილისის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემისას გამოიყენება ამ კანონის 122-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სარგებლობის ფორმები.

2. თბილისის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემა ხდება საჯარო ან ელექტრონული აუქციონის ფორმით ან პირდაპირი განკარგვის წესით.

3. თბილისის ქონების აუქციონის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემა ხდება თბილისის მთავრობის მიერ განსაზღვრული წარმომადგენლის (რწმუნებულის) ან ამ მიზნით თბილისის საკრებულოს მიერ დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის მეშვეობით, რომელიც თბილისის მთავრობის სახელით, სარგებლობაში გადასცემს თბილისის ქონებას.

4. თბილისის ქონების პირდაპირი განკარგვის წესით თბილისის საკრებულოს მიერ დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირებისათვის, თბილისის 100-პროცენტისანი წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების ან/და თბილისის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირებისათვის სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს თბილისის მთავრობის მიერ განსაზღვრული წარმომადგენელი (რწმუნებული) ან ამ მიზნით თბილისის საკრებულოს მიერ დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც თბილისის მთავრობის სახელით სარგებლობაში გადასცემს თბილისის ქონებას.

5. თბილისის ქონების პირდაპირი განკარგვის წესით სახელმწიფოსა და ავტონომიური რესპუბლიკების ორგანოებისათვის, სხვა მუნიციპალიტეტებისათვის, საჯარო სამართლის იურიდიულ პირებისათვის (გარდა პოლიტიკური პარტიებისა), სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირებისათვის და სახელმწიფოს 100-პროცენტისა და წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოებისათვის, ასევე თბილისის იმ საწარმოებისათვის, რომლებშიც თბილისის წილობრივი მონაწილეობა 100-პროცენტზე ნაკლებია სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ გადაწყვეტილებას თბილისის მთავრობის თანხმობით იღებს თბილისის მთავრობის მიერ განსაზღვრული წარმომადგენელი (რწმუნებული) ან ამ მიზნით თბილისის საკრებულოს მიერ დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც თბილისის მთავრობის სახელით სარგებლობაში გადასცემს თბილისის ქონებას.

6. თბილისის ქონების პირდაპირი განკარგვის წესით ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის, გარდა ამ მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტებით განსაზღვრული იურიდიული პირებისა, სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს თბილისის მთავრობა საკრებულოს თანხმობით. საკრებულოს თანხმობის საფუძველზე თბილისის მთავრობის მიერ განსაზღვრული წარმომადგენელი (რწმუნებული) ან ამ მიზნით თბილისის საკრებულოს მიერ დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი, თბილისის მთავრობის სახელით სარგებლობაში გადასცემს თბილისის ქონებას.

7. თბილისის მთავრობის გადაწყვეტილება (ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი) თბილისის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ უთანაბრდება ხელშეკრულებას დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობისთანავე.

8. პირდაპირი განკარგვის წესით თბილისის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემა შეიძლება სასყიდლით ან უსასყიდლოდ, პირობებით ან უპირობოდ. თბილისის ქონების სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემა დასაშვებია არაუმეტეს 2 წლის ვადით, გარდა ამ მუხლის მე-9 და მე-10 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

9. ამ მუხლის პირველი და მე-4 - მე-7 პუნქტებით დადგენილი წესით, თბილისის ქონება უსასყიდლო აღნაგობის, უსასყიდლო უზუფრუქტისა და თხოვების ფორმებით, პირდაპირი განკარგვის წესით შეიძლება გადაეცეს სახელმწიფო და ავტონომიური რესპუბლიკების ორგანოებს, საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს (გარდა პოლიტიკური პარტიებისა), მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირებს და მუნიციპალიტეტის 100-პროცენტისა და წილობრივი მონაწილეობით მოქმედ საწარმოებს, ასევე ფიზიკურ ან/და კერძო სამართლის იურიდიულ პირებს ქონებაზე ინვესტიციის განხორციელების ან/და ხარჯების გაწევის პირობით

10. თბილისის ქონებით მოსარგებლე, რომელსაც არ აქვს ამ ქონებით მართლზომიერად სარგებლობის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი და რომელიც ქონებას სამეწარმეო საქმიანობისათვის (კომერციული მიზნით) იყენებს, ვალდებულია, მესაკუთრის წარმომადგენლის (რწმუნებულის) ან ამ მიზნით თბილისის საკრებულოს მიერ დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის წერილობითი მოთხოვნის თანახმად, თბილისის ბიუჯეტში გადაიხადოს სარგებლობაში გადაცემის საფასური, საბაზრო ღირებულების შესაბამისად (საექსპერტო/აუდიტორული დასკვნის საფუძველზე), საჯარო რეესტრში თბილისის საკუთრების უფლების რეგისტრაციის მომენტიდან სარგებლობის მთელი პერიოდისათვის.“

19. კანონს დაემატოს შემდეგი შინაარსის 126¹ მუხლი:

მუხლი 126¹. თბილისის საკუთრებაში არსებული წილების ან აქციების ან სერტიფიკატებით წარმოდგენილი აქციების პირდაპირ ან შუამავლის მეშვეობით, საჯარო ან კერძო შეთავაზებით, უცხო ქვეყნის ალიარებულ საფონდო ბირჟაზე ან მოცემულ დროს საერთაშორისო კაპიტალის ბაზრებზე არსებული პრაქტიკის შესაბამისი შეთავაზების სხვაგვარი ფორმით პრივატიზების წესი

1. თბილისის საკუთრებაში არსებული წილების ან აქციების ან სერტიფიკატებით წარმოდგენილი აქციების პირდაპირ ან შუამავლის მეშვეობით, საჯარო ან კერძო შეთავაზებით, უცხო ქვეყნის ალიარებულ საფონდო ბირჟაზე ან მოცემულ დროს საერთაშორისო კაპიტალის ბაზრებზე არსებული პრაქტიკის შესაბამისი შეთავაზების სხვაგვარი ფორმით პრივატიზება ხორციელდება თბილისის მთავრობის გადაწყვეტილებით და თბილისის საკრებულოს თანხმობის საფუძველზე. თბილისის მთავრობის გადაწყვეტილება ძალაში შედის საქართველოს მთავრობის მიერ თანხმობის გაცემის შემდეგ.

2. თბილისის მთავრობა განსაზღვრავს წილების ან აქციების ან სერტიფიკატებით წარმოდგენილი აქციების პირდაპირ ან შუამავლის მეშვეობით, საჯარო ან კერძო შეთავაზებით, უცხო ქვეყნის ალიარებულ საფონდო ბირჟაზე ან მოცემულ დროს საერთაშორისო კაპიტალის ბაზრებზე არსებული პრაქტიკის შესაბამისი სხვაგვარი ფორმით შეთავაზების ხელსაყრელ დროს და შეიმუშავებს შესაბამისი დოკუმენტების პროექტებს, ასევე ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა ღონისძიებებს.

3. თბილისის მთავრობის დასაბუთებული წინადადება, რომელშიც მოცემულია პრივატიზების ზოგადი პირობები, მათ შორის, პრივატიზების ფორმა, ვადა და სხვა არსებითი პირობები, შემუშავებული დოკუმენტების პროექტებთან ერთად, წარედგინება თბილისის საკრებულოს თანხმობის მისაღებად.

4. თბილისის მთავრობის მიერ, საკრებულოს თანხმობის საფუძველზე, დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში საქართველოს მთავრობა განკარგულებით იღებს გადაწყვეტილებას თბილისის საკუთრებაში არსებული წილების ან აქციების ან სერტიფიკატებით წარმოდგენილი აქციების პირდაპირ ან შუამავლის მეშვეობით, საჯარო ან კერძო შეთავაზებით, უცხო ქვეყნის ალიარებულ საფონდო ბირჟაზე ან მოცემულ დროს საერთაშორისო კაპიტალის ბაზრებზე არსებული პრაქტიკის შესაბამისი შეთავაზების სხვაგვარი ფორმით პრივატიზების შესახებ თბილისის მთავრობის გადაწყვეტილებაზე თანხმობის მიცემის თაობაზე.

5. თბილისის მთავრობა, ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღებისას, განსაზღვრავს პრივატიზების კონკრეტულ პირობებს, მათ შორის:

ა) პრივატიზებისადმი დაქვემდებარებული წილების ან აქციების რაოდენობრივი ან პროცენტული მაჩვენებელი ან ამ მაჩვენებლის მაქსიმალური ან/და მინიმალური ზღვარი (ზღვრები);

ბ) წილების ან აქციების ან სერტიფიკატებით წარმოდგენილი აქციების საპრივატიზებო საფასური (საჯარო შეთავაზების შემთხვევაში – საწყისი საპრივატიზებო საფასური) და ანგარიშსწორების წესი და პირობები;

გ) გრაფიკის შესაბამისად, პრივატიზების პროცესის დასრულებისათვის საჭირო ძირითადი თარიღები, შესაბამისი ხელშეკრულებების გაფორმების ვადა, წილებზე ან აქციებზე ან სერტიფიკატებით წარმოდგენილ აქციებზე საკუთრების უფლების შეძენის სხვა პირობები, რომელთა შესაბამისად თბილისის მთავრობა განახორციელებს წილების ან აქციების ან სერტიფიკატებით წარმოდგენილი აქციების პირდაპირ ან შუამავლის მეშვეობით, საჯარო ან კერძო შეთავაზებით, უცხო ქვეყნის ალიარებულ საფონდო ბირჟაზე ან მოცემულ დროს

საერთაშორისო კაპიტალის ბაზრებზე არსებული პრაქტიკის შესაბამისი სხვაგვარი ფორმით შეთავაზებას და მასთან დაკავშირებულ შესაბამის ქმედებებს.

6. სერტიფიკატით წარმოდგენილი აქციების პრივატიზების საკითხზე თბილისის მთავრობის მიერ გადაწყვეტილების მიღებისას თბილისის მთავრობის განკარგულებით შეიძლება დადგინდეს სერტიფიკატით წარმოდგენილი აქციების მიმართ ხმის უფლებასთან ან სხვა უფლებასთან დაკავშირებული ნებისმიერი შეზღუდვა ან ვალდებულება (მათ შორის, თბილისის მთავრობის განკარგულებით განსაზღვრულ საკითხებზე საზოგადოების წინასწარ ინფორმირების ვალდებულება).

7. თბილისის საკუთრებაში არსებული წილების ან აქციების ან სერტიფიკატებით წარმოდგენილი აქციების პირდაპირ ან შუამავლის მეშვეობით, საჯარო ან კერძო შეთავაზებით, უცხო ქვეყნის აღიარებულ საფონდო ბირჟაზე ან მოცემულ დროს საერთაშორისო კაპიტალის ბაზრებზე არსებული პრაქტიკის შესაბამისი შეთავაზების სხვაგვარი ფორმით პრივატიზების შემთხვევაში პრივატიზების განმახორციელებელი ორგანოს მიერ შესაბამისი ხელშეკრულება/ხელშეკრულებები იღება, საპრივატიზებო საფასური გადაიხდება და მყიდველს შეძენილ ქონებაზე საკუთრების უფლება გადაეცემა თბილისის მთავრობის განკარგულებით დადგენილი წესით და დადგენილ ვადაში."

20. 127-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 127. წილებისა და აქციების მართვის უფლებით გადაცემა

1. მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული წილებისა და აქციების მართვის უფლებით გადაცემა ხდება აუქციონის ფორმით, ხოლო თბილისში აუქციონის ფორმით, პირდაპირი განკარგვის ან კონკურენტული შერჩევის საფუძველზე პირდაპირი განკარგვის ფორმით.

2. თბილისის საკუთრებაში არსებული წილებისა და აქციების აუქციონის ფორმით მართვის უფლებით გადაცემა ხდება თბილისის მთავრობის მიერ განსაზღვრული წარმომადგენლის (რწმუნებულის) ან ამ მიზნით თბილისის საკრებულოს მიერ დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის მეშვეობით, რომელიც თბილისის მთავრობის სახელით, აუქციონის ფორმით, მართვის უფლებით გადასცემს აქციებსა და წილებს.

3. თბილისის საკუთრებაში არსებული წილებისა და აქციების პირდაპირი განკარგვის ფორმით თბილისის საკრებულოს მიერ დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირებისათვის, თბილისის 100-პროცენტიაწიანი წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების ან/და თბილისის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირებისათვის მართვის უფლებით გადაცემის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს თბილისის მთავრობის მიერ განსაზღვრული წარმომადგენელი (რწმუნებულის) ან ამ მიზნით თბილისის საკრებულოს მიერ დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც თბილისის მთავრობის სახელით პირდაპირი განკარგვის ფორმით, მართვის უფლებით გადასცემს წილებსა და აქციებს.

4. თბილისის საკუთრებაში არსებული წილებისა და აქციების პირდაპირი განკარგვის ფორმით, სახელმწიფოსა და ავტონომიური რესპუბლიკების ორგანოებისათვის, სხვა მუნიციპალიტეტებისათვის, საჯარო სამართლის იურიდიულ პირებისათვის (გარდა პოლიტიკური პარტიებისა), სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიული პირებისათვის და სახელმწიფოს 100-პროცენტიაწიანი წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოებისათვის, ასევე თბილისის იმ საწარმოებისათვის, რომლებშიც თბილისი წილობრივი მონაწილეობა 100-პროცენტზე ნაკლებია მართვის უფლებით გადაცემის შესახებ გადაწყვეტილებას თბილისის მთავრობის თანხმობით იღებს თბილისის მთავრობის მიერ

განსაზღვრული წარმომადგენელი (რწმუნებული) ან ამ მიზნით თბილისის საკრებულოს მიერ დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც თბილისის მთავრობის სახელით მართვის უფლებით გადასცემს წილებსა და აქციებს.

5. თბილისის საკუთრებაში არსებული წილებისა და აქციების პირდაპირი განკარგვის წესით ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის, გარდა ამ მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებით განსაზღვრული იურიდიული პირებისა, მართვის უფლებით გადაცემის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს თბილისის მთავრობა და შესათანხმებლად უგზავნის თბილისის საკრებულოს. საკრებულოს თანხმობის საფუძველზე თბილისის მთავრობის მიერ განსაზღვრული წარმომადგენელი (რწმუნებული) ან ამ მიზნით თბილისის საკრებულოს მიერ დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი, თბილისის მთავრობის სახელით მართვის უფლებით გასცემს წილებსა და აქციებს.

21. კანონს დაემატოს შემდეგი შინაარსის 127¹ მუხლი:

"მუხლი 127¹. მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოთხოვნებისა და უფლებების განკარგვა

1. მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოთხოვნებისა და უფლებების პრივატიზება ხდება აუქციონის ფორმით, ხოლო თბილისში აუქციონის, პირდაპირი მიყიდვის და კონკურენტული შერჩევის საფუძველზე პირდაპირი მიყიდვის ფორმით.

2. თბილისის საკუთრებაში არსებული მოთხოვნებისა და უფლებების პირდაპირი მიყიდვის ან კონკურენტული შერჩევის საფუძველზე პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზება ხორციელდება ამ კანონის 118¹ მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი წესით.

3. თბილისის საკუთრებაში არსებული მოთხოვნებისა და უფლებების პრივატიზებისას გამოიყენება ამ კანონის 118² მუხლით განსაზღვრული განსაკუთრებული პირობები.

4. თბილისის საკუთრებაში არსებული მოთხოვნებისა და უფლებების აუქციონის ფორმით პრივატიზებისას მუნიციპალიტეტის წარმომადგენელი (რწმუნებული) ან ამ მიზნით თბილისის საკრებულოს მიერ დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი უფლებამოსილია გასცეს აუქციონში გამარჯვების დადასტურება წერილობითი ან/და ელექტრონული ფორმით.

5. მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოთხოვნებისა და უფლებების საკუთრებაში პირობებით გადაცემისას მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს ან/და წარმომადგენლის (რწმუნებულის), ხოლო თბილისში წარმომადგენლის (რწმუნებულის) ან ამ მიზნით თბილისის საკრებულოს მიერ დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის თანხმობის გარეშე ქონების შემძენს უფლება არ აქვს, საპრივატიზებო ვალდებულების შესრულების მიზნით გირავნობით დატვირთოს შეძენილი მოთხოვნები და უფლებები.

6. მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოთხოვნებისა და უფლებების საკუთრებაში პირობებით გადაცემაზე, მისი თავისებურებების გათვალისწინებით, ვრცელდება ამ კანონის 120-ემუხლის მე-6 და მე-7 პუნქტები.

22. კანონს დაემატოს შემდეგი შინაარსის 127² მუხლი:

„მუხლი 127². პრივატიზებული, სარგებლობის ან/და მართვის უფლებით გაცემული თბილისის ქონების მიმღების ამ ქონებასთან დაკავშირებული პირობის (პირობების) შეცვლა/გაუქმება

1. თბილისის ქონების შემძენი, სარგებლობის/მართვის უფლებით მიმღები პირი უფლებამოსილია საპრივატიზებო/სარგებლობაში/მართვის უფლებით გადაცემის პირობის შეცვლის ან გაუქმების შესახებ დასაბუთებული თხოვნით მიმართოს თბილისის მთავრობას.

2. თბილისის მთავრობა განიხილავს წარდგენილ მიმართვას და, საჯარო და კერძო ინტერესების გათვალისწინებით, დასაბუთებული აუცილებლობის შემთხვევაში, პრივატიზებულ/სარგებლობაში/მართვის უფლებით გადაცემულ ქონებასთან დაკავშირებული პირობის (პირობების), გარდა ფინანსური და საინვესტიციო პირობისა (პირობებისა), შეცვლის ან გაუქმების შესახებ წინადადებას გადაწყვეტილების მისაღებად წარუდგენს თბილისის საკრებულოს.

3. პრივატიზებულ/სარგებლობაში/მართვის უფლებით გადაცემულ ქონებასთან დაკავშირებული საინვესტიციო და ფინანსური პირობის შეცვლის ან გაუქმების შესახებ წინადადებას თბილისის მთავრობა უგზავნი

4. ს თბილისის საკრებულოს, რომლის მიერ დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, თბილისის მთავრობა საკითხს თანხმობის მისაღებად წარუდგენს საქართველოს მთავრობას.

5. ამ მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევაში მუნიციპალიტეტის ქონების შემძენს, სარგებლობის უფლებით/მართვის უფლებით მიმღებ პირს საპრივატიზებო/სარგებლობაში გადაცემის/მართვის უფლებით გადაცემის პირობის შეცვლის ან გაუქმების სანაცვლოდ შესაძლოა მოეთხოვოს სათანადო ანაზღაურება, რომლის ოდენობასაც განსაზღვრავს თბილისის საკრებულო. ანაზღაურება მიიმართება თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში.

23. კანონს დაემატოს შემდეგი შინაარსის 163² მუხლი:

„მუხლი 163². პრივატიზებული, სარგებლობის ან/და მართვის უფლებით გაცემული თბილისის ქონების მიმღების ამ ქონებასთან დაკავშირებული პირობის (პირობების) შეცვლის ან შესრულების ვალდებულებისგან გათავისუფლების დროებითი წესი

ამ კოდექსის 127² მუხლის საფუძველზე თბილისის მთავრობა თბილისის საკრებულოს მიმართავს იმ შემთხვევაში, თუ მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზება/მართვის უფლებით/სარგებლობაში გადაცემა 2013 წლის 31 დეკემბრამდე განხორციელდა. ეს შეზღუდვა არ ვრცელდება პირდაპირი მიყიდვის/პირდაპირი გადაცემის საფუძველზე განხორციელებულ პრივატიზებაზე/მართვის უფლებით გადაცემაზე და აუქციონის გარეშე სარგებლობაში გადაცემაზე.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

გიორგი მარგველაშვილი